როგორ თბება პინგვინი?

გაიხსენე, რა იცი პინგვინის შესახებ. წაიკითხე ტექსტი და გაიგე, როგორ აგვარებს პინგვინი ზოგ პრობლემას.

პინგვინი დიდი ფრინველია. თუმცა მან ფრენა არ იცის. ის კარგად ცურავს და **ყვინთავს**. წყალში **უხვად** აქვს საკვები. ამიტომ მეტ დროს იქ ატარებს. ცურვისას ფრთებს ისე იყენებს, როგორც თევზი ფარფლს.

პინგვინს ზურგი შავი აქვს, მუცელი – თეთრი. ამიტომ წყალში არც კი ჩანს. ამის გამო პინგვინი ადვილად ეპარება თევზს. გარდა ამისა, მტერი მას ძნელად ამჩნევს.

არსებობს ბევრი სახის პინგვინი. ისინი ჩვენი პლანეტის სამხრეთ ნაწილში ცხოვრობენ. ანტარქტიდის ყინვა თუ ქარი მათ არ აშინებთ. პინგვინის სხეულს ხომ თბილი ბუმბული ფარავს. კანის ქვეშ კი ქონის სქელი ფენა აქვს. როცა ძალიან ცივა, პინგვინი გათბობის სხვა ხერხსაც მიმართავს. 300-400 პინგვინი ერთად იკრიბება. ისინი **მჭიდროდ** დგებიან ერთმანეთის გვერდით. ასე კრავენ წრეს. შუაში კი თავიანთ ბარტყებს აყენებენ. წრე ნელა, მაგრამ სულ ტრიალებს ცენტრის გარშემო. თურმე ამ დროს წრის შუაში სითბო 35 გრადუსს აღწევს. ასე თბება პინგვინი **საშინელ** ყინვაში.

რა გაიგე პინგვინების შესახებ ახალი?



კომპონენტი: *პრობლემის გადაჭრა*, **დონე:** *2.3*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 პირველ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, თუ:

ა) რა ეხმარება პინგვინს ცურვაში.

ბ) რატომ არ იცის პინგვინმა ფრენა.

გ) სად ატარებს პინგვინი მეტ დროს.

2 რაში ეხმარება პინგვინს შავ-თეთრი შეფერილობა?

ა) ასე იგი მეტ სითბოს ინარჩუნებს.

ბ) ასე იგი მტრისთვის ძნელად შესამჩნევია.

გ) ასე უფრო ღრმად ყვინთავს ზღვაში.

3 ძლიერი სიცივის დროს პინგვინები ყველაზე მეტად ზრუნავენ:

ა) თავიანთ ბარტყებზე.

ბ) საკუთარ თავზე.

გ) საკვების შოვნაზე.

4 როგორ თბებიან პინგვინები ქარისა და ძლიერი სიცივის დროს?

ა) ისინი ერთმანეთს მჭიდროდ ეკვრიან.

ბ) ისინი თევზებზე იწყებენ ნადირობას.

გ) ისინი წყალში ცურავენ და ყვინთავენ.

▶▶▶ ლექსიკა

1 შემოხაზე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. პინგვინს წყალში **უხვად** აქვს საკვები.

   ა) ბლომად. ბ) მუდმივად. გ) ნაკლებად.

2. ასე თბება პინგვინი **საშინელ** ყინვაში.

   ა) სუსტ. ბ) ძლიერ. გ) ხანგრძლივ.

2 ტექტის მიხედვით დაწერე, რას ნიშნავს:

1. წყლის სიღრმეში ჩადის ანუ ----------.

2. ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგანან ანუ ---------- დგანან.

3 ხაზებით დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები.

ქონი	გზა
ფენა	ცხიმი
ხერხი	შრე

4 რომელია საპირისპირო მნიშნელობის სიტყები?

ა) დიდი – მოზრდილი. ბ) სქელი – თხელი. გ) ძნელად – რთულად.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. წრის შუაში სითბო 35 (*გრადუსი*) ---------- აღწევს.

2. პინგვინები ჩვენი პლანეტის (*სამხრეთი*) ---------- ნაწილში ცხოვრობენ.

გრამატიკა

2 **დაწერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: ცურვისას — ცურვის დროს.

1. ყვინთვისას – ---------- . 2. გათბობისას – ---------- .

3 **ნიმუშის მიხედვით დაასრულე სიტყვები.**

ნიმუში: კარგი — კარგად.

1. უხვი – უხვა... 2. ადვილი – ადვილ...

წერა

1 **დაწერე, რა არის პინგვინებისთვის ყველაზე დიდი პრობლემა. როგორ ეხმარებიან ისინი ერთმანეთს ამ პრობლემის დაძლევაში?**

---

2 **გაიხსენე, როგორია ზამთარი შენს კუთხეში. დაწერე, როგორ თბებით ყინვის დროს.**